ახალი მეთოდი

1915

ახალი მართალი

იუმორისტული ჟურნალი

№ 1

ფასი 10 კაპ. ქვირა, 1 მარტი 1915 წ.

1143

აკაკი

საფლავი დაიხურა და სამუდამოთ დაჰფარა აკაკის სახე.

ჩვენ, მისი თანამედროვენი, ბედს ვერ შევჩივ-ლებთ:

არა ერთხელ გვინახავს აკაკის სახე.

ვერც ჩვენი შთამომავლობა დაემდურება ბედს:

იმათაც შეეძლებათ აკაკის სახის დანახვა:

—აკაკის თხზულებებში.

მაგრამ ჩვენ მაინც უფრო ბედნიერები ვართ:

ჩვენ ვნახეთ აკაკის ღიმილი, აკაკის სიარული, აკაკის მიხვრა-მოხვრა, მოხუც აკაკის ბავშური სახე—ნათელი და გაშლილი—მისი ზეცისაკენ აწეული თავი და დედამიწისაკენ დაშვებული თვალები...

ჩვენ გავიგონეთ აკაკის ხმა, ნელი და ტკბილი, როგორც გრძნეულ ტყის ნაზი შრიალი.

მოვისმინეთ აკაკის ლაპარაკი, ლაღი და დაუ-დევარი, მარგალიტის მძივივით ასხმული და გაბაფ-ხულის ნაკადულივით საამური.

ჩვენ ცოცხალი აკაკი ვნახეთ...

ჩვენ ვიგრძენით და განვაცდეთ მისი მუნ-ყოფა.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ:

—აკაკი და ჩვენ ერთად ვცხოვრობდით!

ჩვენ ვნახეთ მიწიერი აკაკი, მოკვდავი აკაკი.

მოკვდავ აკაკის დღეისამიერ ვეღარავინ ნახავს, ვერასოდეს.

ჩვენ კი ვნახეთ და გვიხარიან, ბედნიერნი ვართ.

ჩვენი შთამომავლობა მხოლოდ უკვდავ აკაკის ნახვას შესძლებს.

ის იხილავს მის პოეზიის ყვავილს, მშვენიერსა და მარად უჭკნობს.

იყნოსებს იმ ყვავილის სურნელებას, ნაზს, ძლიერსა და დაუშრეტელს...

მაგრამ ბროლის ლარნაკს, ბროლის საყვავილეს, რომლის თლილ ზღუდეებში მზის სხივები თამაშობდა და ნიადაგ იცინოდა,—ველარ, ველარ ნახავს:

რადგან ეს ბროლის ლარნაკი იყო მოკვდავი აკაკი და ჩვენ იგი დავმარხეთ სამუდამოთ.

მე მრწამს, რომ ჩვენი შთამომავალნი ყველაფრით ჩვენზე ბედნიერნი იქნებიან და—კაცი ვარ, ადამიანი—მშურს კიდეც მათი ბედნიერება.

მაგრამ ისინი ვერ ნახავენ ცოცხალ აკაკის, მიწიერ აკაკის, და ამ მხრით ჩვენზე უბედურნი იქნებიან...

როგორც ადამის შვილთ, იმათაც მართებთ ჩვენკენ შურის თვალით მოხედვა ..

ერთხელ, ამ რამდენისამე წლის წინათ, რიონის სადგურის ბაქანზე მატარებლის მოლოდინე ხალხი ირეოდა.

ამ ხალხში, სხვათა შორის, ერთი ხანში შესული გლეხი იყო, მძიმე სამგლოვიარო „ხამის“ ჩოხიანი და ყაბალახის მაგიერაც «ხამისავე» ჩვარი ეხვია თავზე.

ხუთი სადგური გამოვიარეთ ერთად, ერთ ვაგონში, და ისე იჯდა ის კაცი უძრავათ და უტყვათ, რომ ეტყობოდა ძლიერ ახლობელი და საყვარელი ვინმე დაემარხა.

ახლა სადგურის კედელს მიყრდობოდა და გამშრალ თვალებით სივრცეში იცქირებოდა.

მატარებელი მოვიდა და ვაგონებიდან ფუტკარივით გამოცვივდნენ მგზავრები.

უცებ ხალხში უცნაური ჩოჩქოლი და ფუსფუსი ატყდა.

—აკაკი! აკაკი! აკაკი!—გაისმა ირგვლივ და ხალხი ერთ კაცივით დაიძრა იმ ვაგონისაკენ, რომლის საფეხურებზე ნელა ჩამოდიოდა მოხუცი მგოსანი.

იმ ვაგონის გასწვრივ თვალის დახამხამებაში მგოსნის თაყვანისმცემელთა ცოცხალი ხეივანი გაკეთდა და ამ ხეივანში დინჯათ გაიარა მომღიმარე მოხუცმა.

ის იყო, სადგურის კარებში უნდა შესულიყო, რომ მარჯვნით შემომესმა ვიღაცას აჩქარებული სიტყვები:

–სად არის, სადა? ერთი მანახვეთ! სად არის აკაკი?

მივიხედე და მხოლოდ შავ ზურგსა და კეფაზე შეკრულ ძაძის ჩვარს მოვკარი თვალი, რადგან სწრაფათ შესდია მგოსანს სადგურში...

სადგურიდან რომ გამოვიდა, თვალები უბრწყინავდა და ტუჩებზე ღიმი უთრთოდა.

ქუთაისის სადგურზეც დავინახე ის მგლოვიარე გლეხი: მის მოდუნებულ სახეს ხალისი ეტყობოდა. .

აი, რა სასწაული მოახდინა აკაკის წუთიერმა ნახვამ უნუგეშოთ მგლოვიარე გლეხზე. განა ჩვენც, მთელი ქართველი ერი, მთელი საქართველო, იმავ გლეხს არა ვგევართ?

და განა ქართველ ერისთვისაც ისევე ნუგეშინის მცემელი არ იყო აკაკი, როგორც იმ გლეხისათვის?

განგების მიერ გამორჩეულ ადამიანთა ხალხზე გავლენა მარტო მათი ნაღვაწით როდი განისაზღვრება.

დაუფასებელია ის გავლენაც, რომელსაც მათი პიროვნება, მათი მუნყოფა ახდენს.

ამ მხრით აკაკის სიკვდილი განსაკუთრებით აუნაზღაურებელია...

კრებაა

კამათი მეტად საყურადღებო საგნის გარშემო ტრიალებს და ყველა გულ დასმით უსმენს ორატორის სიტყვას.

უცებ კარები გაიღება და შემოვა აკაკი.

—აკაკი მობრძანდა, აკაკი მობრძანდა!

მთელი კრება ერთბაშათ ფეხზე წამოდგა და ყველანი აკაკისაკენ იცქირებიან.

დარბაზში საერთო სიამოვნების ღიმილმა დაიმკვიდრა, ნაზ სიხარულის ღიმილი დაეკიდა ჰაერში და ყველას სახეზე აღიბეჭდა.

დასხდენ.

ორატორი განაგრძობს.

მაგრამ დამსწრეები კვლავინდებურის სიბეჯითით ველარ უგდებენ ყურს, რადგან მათი გაბრწყინვებული თვალებიც, მათი ფიქრებიცა და გულისყურიც იმ შეეერცხლილ მოხუცს მოუტაცნია, მისან ტირეზისავით რომ ზის ეგერ, პირველ წყებაში.

—რას ფიქრობს აკაკი ამ წუთში?

—რამდენ ხანს დარჩება?

—იტყვის თუ არა რასმე?

აი რა კითხვები უტრიალებს ყველას თავში...

ან კიდევ:

აკაკიმ მხოლოდ გაიარა სადმე ვთქვათ, თეატრის დარბაზში, საცა მრავალი ხალხია შეკრები-

ლი, — გიიარა მხოლოდ: არც კი დალაპარაკებია ვისმე, არც ვისთვისმე შეუხედავს...

ყველას თვალები მას გაჰყვა და, რომ მიიმალა, ისეთი გამომეტყველება დარჩათ იქ მყოფთ სახეზე, როგორიც პატარა შეგირდებს აქვთ ხოლმე, როცა მათ ოსტატი მოეფერება.

გრძნობ — ყოველსავე ამას და აღტაცებით ჰფიქრობ:

— ეს რა ძალაა? რა უცნაური თვისება აქვს აკაკის:

— თავზე ხელი არ მოუსვამს და მომეფერა კი!

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს და მომეალერსა კი!

— არც კი შემოუხედავს და სიხარულის შუქი კი მომანათა!

აღარ მახსოვს ქუთაისში მოხდა თუ თფილისში: სალიტერატურო საღამო იყო და აკაკიც მონაწილეობდა.

დადგა აკაკის გამოსვლის რიგი,

დარბაზი აღელდა.

გამოჩნდა თუ არა აკაკი, თეატრის კედლები ტაშმა და „ვაშამ“ შეაზანზარა.

ნელის და მოკლე-მოკლე ნაბიჯით წამოვიდა ავანსცენისაკენ, თავისებურის სიარულით, თავაწეული და თვალებ დაშვებული და შუა ალაგას გაჩერდა გაღიმებული.

ხალხის მღელვარე'ას ბოლო არ უჩანს.

აკაკი კი დგას, მორჩილებით უცდის და იღიმება.

ბოლოს, როგორც იყო, დაწყნარდა დარბაზი.

— ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო...

გასმა აკაკის ნელი ხმა და დარბაზში ისეთი დუმილი გამეფდა, როგორიც ახლა მგოსნის სამარეში სუფევს.

ეს ლექსი გაათავა და მეორე დაიწყო, არ მახსოვს რომელი.

რამდენიმე ტაეპი თავისუფლათ სთქვა, მაგრამ მეხუთე თუ მეექვსე ტაეპზე უცებ შედგა და ისევ თავიდან დაიწყო იგივე ტაეპი.

კიდევ შედგა იმავ ადგილას და კიდევ დაუბრუნდა.

მესამეჯერაც ველარ მოიგონა, გაჩერდა და სახეზე წყენა დაეტყო.

ამ დროს მოხდა საკვირველი და თან სასაცილო რამ, რაც აკაკისთვის ძალიან დამახასიათებელია.

ერთსა და იმავე დროს მოისმა ლექსის გაგრძელება ქანდარაზე, პარტერში და კულისებში.

რაკი დარწმუნდენ დამსწრეები, აკაკი ველარ მოიგონებსო, გაჰბედეს და, შეპირებულებივით, ერსა და იმავე დროს, სხვა და სხვა ადგილიდან დაიწყეს კარნახი.

აკაკის გაეცინა და დარბაზშიც ხარხარი მოისმა.

ნეტა რა გაეცინა აკაკის?

გაეხარდა, რომ მისი ლექსები ზეპირათ სცოდნიათ და იმისი იყო ეს სიცილი...

თუ გაიფიქრა:

— ეჰ! ცუდათ არის საქმე! სიბერემ ისე დამჯაბნა, რომ მეხსიერებაც დამეკარგა. რას ვაწუხებ ამ ხალხს, განა ველარ მივხვდი, რომ ზეპირად ლექსის თქმა აღარ შემიძლიაო, და თავის თავს დასცინა?!

თუ ასე ფიქრობდა, მაშინ მე ვიცი, რასაც იფიქრებდა დამსწრე ხალხი ამის საპასუხოთ:

— განა შეიძლება, ჩვენო ვერცხლის მგოსანო, რომ შენ ჩვენ რითიმე შეგვაწუხო? შენ ოღონდ დაგვენახე ხოლმე მაგრე მაღალ ადგილიდან, რომ ყველანი თავით ფეხამდე ვუყურებდეთ საყვარელ აკაკის, ოღონდ შენი ღიმილი გვიჩვენე და შენი ხმა გაგვაგონე, თორემ შენ დაწერილ ლექსებს განა ჩვენ კი ვერ დავისწავლით, რომ შენ არ შეგაწუხოთ მათი გაზეპირებით?..

ახლა ჩვენ მხოლოდ ყვავილი დაგვრჩა, აკაკის პოეზიის მშვენიერი ყვავილი.

ბროლის ლარნაკი, რომელშიაც ეს უცხო ყვავილი იყო და რომლის თეთრ ზღუდეებში სამშობლო მზის სხივები თამაშობდა და ნიადაგ იცინოდა, აღარ არის, დავმარხეთ.

დავმარხეთ ვერცხლის ზარი, მაგრამ მისი მთრთოლვარე რეკა ჩვენთან დარჩა, ჩვენს გულში ჰკანკალებს...

იგი ისმის ჩვენ ფირუზ ცაში, ზურმუხტ ხმელეთში:

ყველგან, სადაც ქართველი ცხოვრობს...

შალვა შარაშიძე.

მოწინავე

პატივცემულო მკითხველებო! გვიბოძეთ ნება, ჩვენი ჟურნალის გზა გაგაცნოთ, მიმართულება.

თავს არ შეგაწყენთ: მოკლეთ მოვჭრით, ორიოდ სიტყვით;

წინასწარ ვიცით, რასაც ზოგნი თქვენგანნი იტყვით:

— სიცილ-ხარხარი, ოხუნჯობა განა გშვენითო, როს დაგვტრიალებს საშინელი ომი ქშენითო!.. როს თითო წუთ'ში ასი კვდება კბილთა ღრჭენითო, და ლამის მიწამ გაიროს ყავარჯენითო?

მართალი გახლავთ, საოხუნჯო ჩვენი ჟურნალი, ტყვიით დაჭრილთა ვერ იქნება შემწე-მკურნალი, მაგრამ ვინა სთქვა, რომ ეშმაკი აქიმიაო, ან და თაგუნამ შეისწავლა ალქიმიაო?!

ჯარის კაცნი ვართ, და, ვით მხედართ, ბრძოლა გვწყურია, ასპარეზისკენ მიგვიწოდებს სამსახური!

ჩვენ ვერ მივბაძავთ იტალიას, ვერც ბულგარეთსა, რომელთ ყოყმანმა დააბერა მზეც და მთვარეცა!

ვერა, ვერ ვუცდით სხვის ნასუფრალს და სხვის წყალობას.. გვეყო ლოდინი: აჰა ვარღვევთ ნეიტრალობას!

ჩვენ არც თოფი გვაქვს, არც გვარტყია წელზე ხმალია, ჩვენი „ხანჯალი“ ორთავეზე მჭრელი, მალია:

ნახმლევს, ნატყვიარს ხშირათ ჰკურნავს მალამო ტკბილი, ხოლო ვისაც კი გაეკრება დაცინვის კბილი, მას ვერ მოარჩენს დოსტაქარი, ვერც მოწყალე და: მისი ჭრილობა ისე რჩება დღესაც, ხვალე და სამარადისო წყლული ხდება, იარა ღია!

ჰხედავთ დაცინვა რა საშიში იარაღია?

ტყვიით განგმირულს ბრძოლის ველზე გმირს უწოდებენ და მის საფლავზე ცრემლს აფრქვევენ, მწარეთ ჰგოდებენ, ხოლო სიცილი ვისაც დაეცემს, გლოვისა წილად — მას გაბახება და შერცხვენა ერგება წილად...

ვითვალისწინებთ რა ზემორე დაწერილს, თქმულსა, აწ ალვიარებთ: ჩვენ არ ვიცნობთ არც „რძალს“ არც „მულსა“, არც „ჩვენს“ არც „სხვისას“, არც „დიდ კაცსა“ და არცა „მცირეს“, არც ივანიკას, არც გოგიას, არცა პორფირეს!..

ჩვენ საპირადოს, პიროვნებას, არ შევეხებით, მხოლოდ ზოგადსა ვეკვეთებით პირ-გამეხებით; კერძო ცხოვრება ქორიკანა დიაცსა ჰქონდეს: ნუ შევეცილვით, რომ კეკელა არ დაგვიღონდეს, გარნა ზოგადსა რასაც ვნახავთ ჩვენ სასაცილოთ, მყის ისარს ვტყორცნით და ვეცდებით, — არ ავაცილოთ.

თაგუნა.

გოზინაყი.

საარაკო სტრატეგიული გეგმა.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ სწერს:

> „შტ. როტმისტრი მიხეილ ალექსანდრეს-ძე წერეთელი გმირულად ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა პრუსიის საზღვარზე, კარპიტის იქით“

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ავსტრო-უნგრეთიდან კარპატის მთების პრუსიის საზღვარზე გადატანას ღრმა სტრატეგიული მოსაზრება უნდა ედოს სარჩულ ათ.

დიდი გამჭრიახი სარდალია ეს ჰინდენბურგი, თუმცა ამ საარაკო გეგმის განხორციელებაში უმთავრესი ღვაწლი ჩვენს თანამემამულეს, ბ-ნ იოსებ იმედაშვილს, უნდა მიუძღოდეს.

მოხარშული ღობე.

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში“ მეურნე გაგლოშვილი სწერს:

> „ულობოთ ბოსტნის გაკეთება არ შეიძლება.. საუკეთესო—ცოცხალი ღობეა... რგავენ ეკლიან ხეებს—„გლედიჩიას“. გლედიჩიას დათესვამდი მოხარშვა უნდა.. გლედიჩიის შემდეგ პირველი ადგილი ფშატს ეკუთვნის... ფშატს მოხარშვა არ სჭირია.

გვიკვირს, ბ-ნ გაგლოშვილმა გლედიჩიის შემდეგ პირველობა რატომ ფშატს არგუნა და არა ძეძვს. იქნება ავტორმა არ იცოდა, როგორ ითესება ძეძვი?

ჩვენ მოვაგონებთ:

ძეძვის თესლი ჯერ ტაფაზე ერბოში კარგად უნდა მოიხრაკოს, შემდეგ უნდა მიეცეს საკმაო ძმარი, მარილი [შეიძლება ცოტა ნიორიც] და დაი-

თესოს. პირობას ვდებთ, რომ ამრიგათ შემზადებული ძეძვის თესლი არანაკლებ იხარებს, ვიდრე მოხარშული გლედიჩია.

გ ა დ ა ი დ ო ს!

გაზეთ ,,სახალხო ფურცელში'' სწერია:

„ვორონცოვის ქუჩაზე, ჩითახოვისეულ ქარხნის შენობაში, რომლის ახლო-მახლო დიდძალი ღარიბი ხალხი ბინადრობს **გ ა დ ა ს ა დ ე ბ** სენიანთა ბარაკს აწყობენ. რაში არის საქმის გარემოება?"

მართლაც და რაშია საქმის გარემოება? ვთხოვთ ,,სახალხო ფურცლის'' რედაქციას, თუ სენი მართლა ,,გადასადებათ'' მიაჩნია, მოიღოს მოწყალება და ომის გათავებამდე მაინც გადადოს.

მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა

აწ ცნობად ვაცხადებ საყოველთაოდა:
დრო იყო, **„ეშმაკის მათრახი"** ჰყვაოდა!..
ჰყვაოდა, ვითარცა
წალკოტი ედემის;
ჰხარობდა ყოველი,
ვისაც კი ეგემის.
ურიცხვი ეხვია გარს მტერი, მოყვარე...
ანგელოზთ ჯიშისა, ეშმაკთა მოგვარე!
ურიცხვი ეხვია
მამრნი, თუ მდედრები;
ყოველი კლასისა:
ღარიბნი, მდიდრები.
და ჰქონდა მეჯლისი კუდს მისას მწარესა,
ყოველთა უბანთა, ყოველსა მხარესა.
და ჰქონდა მოლხენა
ყოვლისა ჟამითა:
დილით, გინდ საღამოს,
დღითი, გინდ ღამითა!..
და ესრედ მას ჟამსა „მათრახი" ჰხარობდა,
რამეთუ „ეშმაკი" ვარგისად ხმარობდა.
და ესრედ მას ჟამსა
„ეშმაკი" სტკბებოდა,
რამეთუ „მათრახი"
ყოველთა სწვდებოდა.

მაგრამ დრო წარვიდა, დრო იგი ლხენისა;
„ეშმაკის მათრახის" დიდებულ დღენისა.
დრო იგი წარვიდა,
„ეშმაკი" დაჰღალდა;
„მათრახის" კბენისა
სიმწვავე გაჰგალდა.
მიწყნარდა ტკაცანი ძლიერი კუდისა...
დასდუმდა ღიღინი მესტვირის გუდისა.
განშორდა „ეშმაკი"
დარაზმულ ძალებსა,
მით ძილი ეუფლა
მრისხანე თვალებსა.

და აღსდგნენ ორგულნი ჭირთ უნახველადა;
ეკვეთნენ ჯოჯოხეთს, ვითარცა ძველადა.
ამხედრდნენ ჩვენზედა
სიწმინდის შვილები!
მოდიან ერიშით,
ხმალ ამოწვდილები.
ძლიერნი არიან მტერნი და ორგულნი,
აწ ჩვენთა სამთავროთ საზღვრებად მოსულნი.
ძლიერნი არიან
სამოთხის შვილები...
გარნა თუ ეშმაკთან
არ გასამხილები.

და აჰა, ვაცხადებ **მობილიზაციას**...
კვლავ ვუხმობ საომრად ეშმაკთა ნაციას!
კვლავ ბრძოლად გავიწვევ
თითო ვაჟს ქუდზედა,
რომ ფიცი მიიღონ
«მათრახის» კუდზედა.
აღზდეგით, მოძმენო, აწ ძილი გვეყოფა;
დრო არის განმტკიცდეს ეშმაკთა მეფობა.
აღზდეგით, ვითარცა
გვჩვევია ძველადა
და ბრძოლის ყიჟინა
მოვფინოთ ველადა.
მოვუხმობ ერთპირად: ყრმათა და ხნიერთა;
მოვუხმობ საომრად მაძღართ და მშიერთა;
მოვუხმობ «ლანდშტურმებს»
მოვუხმობ «ლანდვერებს»
ხალისი ბრძოლისა,
ვისაც ვერ აჩერებს.
მოვუხმობ დიაცთა (დებს მოწყალებისას)
ლამაზებს, ჯანსაღებს, ოცოდ წლებისას.
მოვუხმობ დოსტაქრებს
და ექიმ-ბაშებსა
«ზაპასში» გარდასულ
ღენერლებს, ფაშებსა!
მოვუხმობ მღვდელ-მთავრებს, პატრებს და მოლლებსა,
ბობოლა მოხელეთ, მათ რძლებს, მათ ცოლებსა.

მოვუხმობ ყოველთა,
სად გული კი გულობს,
ვინც ჩვენი მომხრეა,
ვინაც არ ორგულობს.

ჩვენ არ გვსურს დაპყრობა სამოთხის მხარისა!
ჩვენ არ გვსურს მოსპობა ანგელოზთ ჯარისა!
ჩვენ არ გვსურს სისხლის ღვრა
და რბევა ძლეულთა...
გვსურს უკუ ბრუნება
მტერთ შემოსეულთა.
ჩვენ ვილტვით, შევმუსროთ მტრის მილიტარიზმი,
რომ ქვეყნად გამეფდეს «მაორახის ტარიზმი»
ჩვენ ვილტვით კულტურა
მოვფინოთ სხვა ხალხთა,
ჩვენს დაბლა მდგომარეთ
და ჩვენზე მაღალთა.
ჩვენ ვიცავთ ჩვენს ბაზარს, ჩვენს ინდუსტრიასა:
სპილენძის სამოვრებს, ქერსა და შვრ-ასა!
ჩვენ ვიცავთ დაჩაგრულ
ერების უფლებას,
ჩვენ ვეტრფით «მათრახით»
წყლულთა მათ კურნებას.
მაშ აღზდგეს ყოველი ეშმაკის მოგვარე:
დღეს უნდა ჯოჯოხეთს მცველი და მოყვარე.
ვეკვეთოთ, ვითარცა
გვჩვევია ძველადა,
და ბრძოლის ყიჟინა
მოვფინოთ ველადა.

ფრთას ჩვენსას, მარცხენას, «თაგუნა» განაგებს;
ნაცადი ხელია, ბრძოლას არ წააგებს.
ნაცადი ხელია,
ჭირშიგან ჩვეული
ჯერ არსად გვინახავს
მტერთაგან ძლეული.
მარჯვენა ფრთაზედ კი «ბლიკვაძე» გვიდგია,
იმისი იმედიც უზომოთ დიდია.
დიდია, რამეთუ
აქვს ბრძოლის ხალისი
(ეშმაკთა სამეფო
მოწმეა ამისი!)
ცენტრს თითონ ჩავდგები დანარჩენ ძალებით...
დე ტყვიამ გაგვგმიროს, ნუ შეგებრალებით...
ჩვენ ვიცავთ ჩვენს მამულს,
ჩვენს ინდუსტრიასა,
მათრახს და ბორკილებს
ქერსა და შვრიასა.

ეშმაკი

სიკვდილი.

(აკაკის მიბაძვა)

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი!

თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ; გული აღარ მიძგერს—და ვგრძნობ კი; გონებაც ისევ თავის რიგზეა, მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა—ხელ-ფეხს ველარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს—ენა არ მემორჩილება...

რა გაეწყობა! როგორც ჰხედავთ, ძალაუნებური მეთვალყურე შევიქენი და ვუყურო მაინც, რაც ჩემ გარშემო ხდება!...

ცოცხალ მეთვალყურისაგან მით განვსხვავდები, რომ ყველა გრძნობები უაღრესათ გამიმახვილდა: წარმოიდგინეთ, კედელს იქითაც ვხედავ და ადამიანის ფიქრებსაც ისე ვკითხულობ, თითქო ქაღალდზე იყოს დაწერილი...

რა რომ მოვკვდი, იმ წუთიდან დაწყებული, ჩემი სახლი სხვა და სხვა ჯურის ხალხითაა სავსე: დიდი და პატარა, ერი და ბერი, თავადი და გლეხი, ქალი და ვაჟი, ჭკვიანი და სულელი, სწავლული და უვიცი, მდიდარი და ღარიბი, კარგი და ავი —ყველანი ბუზებივით ირევიან და ისე ექცევიან ურთიერთს, თითქო დიდი პატივი და სიყვარული ჰქონდესთ ერთმანერთის.

—ნუ თუ ამიხდა ნატვრა, „ჩონგურის სიმები“ „შეხმტკბილდენ“ და ჩემი სანუკვარი ერთობა დამყარდა საქართველოში? ვფიქრობ მე.

—მაშ მე ვყოფილვარ ქვეყნის ამრევ-დამრევი, ქიშპისა და უთანხმოების მთესველი, რაკი—მოვკვდი თუ არა, მყისვე შეწყდა დავიდარაბა და კაცთა შორის სათნოება დამკვიდრა!

—თუ ასეა, რატომ აკვანშივე არ მოვიკალი თავი?

მაგრამ არა: არც ასე ყოფილა საქმე! ცოტა უფრო გულდასმით ვუკვირდები გარემოებას და შემდეგს ვამჩნევ: ეს თანხმობა და ერთმანერთის პატივის ცემა მხოლოდ მაშინ სუფევს, როცა ჩემ ცხედრის გარშემო არიან შეგროვილნი, და გავლენ თუ არა გარეთ ან მეორე ოთახში, წამსვე ჩვეულებრივი ყაყანი და აურზაური ატყდება ხოლმე.

—არა, ესენი ისეთი ჯურის ხალხი ყოფილან, რომ ნიადაგ მიცვალებული უნდა ესვენოს ცხვირწინ, თორემ სხვაფრივ ამათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია, ვფიქრობ მე.

ახლა რაზე აქვთ აყალ-მაყალი:

შემდგარა ბარე ოცი ეგრე წოდებული ჩემი „დამკრძალავი კომიტეტი“, და თითოეულ მათგანს

თავ-თავის დღე დაუნიშნავს ჩემ წასასვენებლათ და დასაკრძალავათ.

გამოდის, რომ ოცჯერ უნდა დავიკრძალო!

ამას კი ჩემის აზრით ვერცერთი მიცვალებული ვერ გაუძლებს.

ბოლოს ორი აზრი იმარჯვებს: ერთი — თბილისის კომიტეტისა, რომელსაც უნდა რაც შეიძლება გვიან წამასვენონ თბილისში, მეორე — ქუთაისის: ამის სურვილია, თუ ნდა ამ წუთშივე გამგზავნოს ჩემ სახლიდან. ეს ორი აზრი ვერას გზით ვერ რიგდება, და ყველა კომიტეტი ორ ბანაკათ იყოფა:

ქუთაისის კომიტეტი და მისი მომხრეები ცდილობენ, რაც შეიძლება ადრე მომიშორონ თავიდან, ხოლო თბილისისას რატომღაც არ სურს ჩემი თბილისში წასვენება და საქმეს აჭიანურებს.

ერთი შემეძლოს წამოვდგე და ვუთხრა ჩემ დამკრძალავ კომიტეტებს:

— ბატონო დამკრძალავებო! იქონიეთ ცოტა კრძალვა და თუ მართლა მკრძალავთ, ისევ ისე დამკრძალეთ, როგორც მე მსურდა და გამოვთქვი კიდეც ჩემ ანდერძში: აქვე, ჩემს სოფელში...

მაგრამ ამ დროს მაგონდება, რომ დღეს ყური მოვკარი, გაზეთში კითხულობდენ: გიგო დიასამიძისათვის თურმე მითქვამს, თუ ხალხის სურვილი ჩემს ანდერძს არ შეეთანხმება, ვთმობ-მეთქი, და რაღა გაწყობა: უნდა დავთმო კიდეც, თუნდაც სულ დაუკრძალავი დავრჩე...

აყალ-მაყალი ცხრება და ჩემი სტუმრები ჩემს სამუშაო ოთახში შედიან.

როგორც სტუმართმოყვარე იმერელ მასპინძელს შეჰფერის, ერთ-ერთ ჩემ ნების ამსრულებელთაგანს ჩემი სამუშაო ოთახი დაუცლია: გამოუტანია ჩემი სამწერლო მაგიდა, სკამი, ტახტი და სხვა ავეჯი, გაუშლია ვეებერთელა სუფრა და ზედ ლალის ფერი მაღლარით სავსე ბოთლები ჩაუმწკრივებია.

მე, რა თქმა უნდა, სავსებით მესმის ჩემ ერთგულ მეანდერძის მიზანი:

სტუმრები რომ დანაყრდებიან და ჩემს შესანდობარს გადაჰკრავენ, მეანდერძეები მაშინვე ბრძანებას გასცემენ, ის ოთახი, სუფრა, დაცლილი ბოთლები და ნასუფრალი იმავ მდგომარეობაში დასტოვონ სამუდამოთ, და არავინ ხელი არ ახლოს და გაანძრიოს არც ერთი ისტორიული ნივთი, დაჰკეტავენ ოთახს და დარაჯებსაც მიუჩენენ.

ხოლო, შემდეგ, როცა ვინმე ცნობის მოყვარე ქართველი ესტუმრება ჩემეულ სახლს და სთხოვს, ჩემი სამუშაო ოთახი დაათვალიერებინონ, გაუღებენ კარს, მოკრძალებით შეიყვანენ შიგ და ყველაფერს დაწვრილებით აუხსნიან:

— აი, ბატონო, კალმახის ხერხემლის ძვალი, ვარდენ ღვანკითელს რომ გაეხირა ყელში და კინაღამ დაახრჩო ჩვენი სასიქადულო პოეტი.

— ეს გახლავთ ჭიქა, რომლითაც ობშკვითის დეპუტატი მიირთმევდა აკაკის შესანდობარს... ჰხედავთ, კიდე ჩამომტვრეული აქვს: მეცხრე ჯერ რომ დასცალა, რაღაც მიზეზით ხელი აუცახცახდა, გაუვარდა და პირიც მაშინ ჩამოემტვრა.

— ეს ლაქა, ბანოჯის დამკრძალავ კომიტეტის თავმჯდომარეს რომ ღვინო დაეღვარა, იმის გახლავთ...

და ცნობის მოყვარე ქართველი, აკაკის სამუშაო ოთახის ნახვისაგან სრულიად კმაყოფილი, დიახ მადლიერი დაბრუნდება თავის სახლში...

(შემდეგი იქმნება) ეშვი.

აკაკის ნაკვესები

ერთხელ ერთი ქართველი არტისტი, რომელსაც თეატრი ძალიან უყვარდა, მაგრამ ხშირათ ფრიად უგემურათ თამაშობდა, ეუბნება აკაკის:

— ვერ წარმოიდგენ, რა ნაირად მიყვარს სცენა: როცა მე არ ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, სულ ჟრუანტელი მივლის ხოლმე.

— წარმოიდგინე, მეც ამ მდგომარეობაში ვარ, უპასუხა აკაკიმ.

— შენ რათა? ჰკითხა გაკვირვებულმა არტისტმა.

— შიშისაგან, მიუგო აკაკიმ.

— რისა გეშინიან?

— იმისა, ჩემო კარგო, რომ სცენაზე კარი არ გაიღოს და შენ არ შემოხვიდე.

სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ძეხვი მოითხოვა. ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცალა. გულმოსულმა ადვოკატმა იკითხა:

— არ გიკვირთ, რომ კანი არ ძვრება ამ ძეხვსაო?

— ეგ არ მიკვირს, — მიუგო იქვე მყოფმა აკაკიმ, — ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

ერთხელ არა ახოვანი ტანის პატრონი ბ. ჭ-ია ამბობდა ვილაცაზე: ისე გამაჯავრა, რომ კინაღამ გავარტყი. თუ არ გავარტყი, მარტო მისთვის რომ...

— ახლო სკამი არ იყო, ზედ შემდგარიყავიო, დაუმატა აკაკიმ.



გუშინ.

აკაკის ნაკვესები

ერთხელ აკაკის უთხრა ერთმა ძველი თაობის კაცმა, თ. ა. ნ.

—ათასი რომ გვაგინოთ, ისევ თუ რანიმე ვართ, ჩვენ ვართ: უჩვენოთ თქვენ არად ივარგებთ, ჩვენ რომ მოვკვდებით, თქვენ მშრალზე დარჩებითო.

—მადლობა ღმერთს, მიუგო აკაკიმ: ახლა თქვენთან პინპყოში ვართ და მაშინ კი მშრალში ვიქმნებითო.

რა არის, რომ საქმის გარჩევის დროს მსაჯულთ მუნდირი აცვიათ, ადვოკატებს—ფრაკები და დამნაშავენი კი უფრო ხშირად შიშვლები?არიანო,?ჰკითხეს ერთხელ აკაკის.

—ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის გარჩევა მსაჯულებისთვის სამსახურია,ადვოკატებისთვის—ბალი და დამნაშავეთათვის აბანოო. მიუგო აკაკიმ.

აკაკი მასკარადში იყო. მოწყენილი და დაღვრემილი დადიოდა.

ერთი, ბებერ დედაკაცად ჩაცმული მასკა აეკვიტა და საშველს არ აძლევდა.

—რას მოგიწყენია, პოეტო, წამალი მე ვიცი და მითხარი შენი გულის დარდებიო.

—არა, ჩემო კეთილო, ძველის აფთიაქიდან მე წამალი არ გამომაქვსო, უპასუხა პოეტმა.

გრიგოლ დადიანმა მიიწვია სადილათ აკაკი და თავის მამულის, «კოლოშისა», ღვინო დაალევინა.

—როგორ მოგწონს, აკაკი, ეს ღვინო?

—ეხლა, ბატონო, კახური მირჩევნია, მაგრამ ზამთარში კი კალოში უნდა სჯობდესო, მიუგო აკაკიმ.

Գ Լ ղ Ե.

Ի զ ։ Լ ա ղ

მელია და მექათმე

(არაკი)

შეეჩვია ერთ საქათმეს
გაქუცული კუდა—მელა
და ქათმები უმოწყალოდ
ამოაგდო, გაანელა.
ჯერ დედღ ები დაითრია,
დანაპოლოს, ყვინჩილები...
გაიკეთა გზა ჯაგნარში
ქათმის წასაჩინჩილები,
და დილ დილას, ხან საღამოს
თვე გავიდა ისე სამი,
რომ ყოველ დღე მოდიოდა,
არ გააჩნდა დრო და ჟამი.
როს მექათმემ ამომგდები
ვერ იხელთა ვერას ყოფით,
რომ ძაღლებით დაეწიწა,
ან მოეკლა იგი თოფით,
გზაში მახე მოუმართა
წუწკს და მავნეს ამოდენას,
და სასუნგათ ხორცი მცირე
წამოუგო მახის ენას.
როცა მელას მოეშივა
და აუტყდა მადის ფხანა,
საქათმისკენ გამოსწია,
რომ ქათამი წაეყვანა,
გზაში უცებ ხორცს წააწყდა.
გაუბრწყინდა მსუნაგს სახე
და ეძგერა სულწასულმა,
ველარ შეამჩნია მახე.
მარა თქვენს მტერს იმისთა^ა;
«ტკაცო» დაჰკრა მახემ მაგრა
და მელია იქვე ხელად
გაეკავა და გაძაგრა.
როცა იგრძნო მელამ, რომ მას
აღარა აქვს გასაქანი,
და, საცაა უმოწყალოდ
აეწვება ზურგის კანი,
ჩაჯდა: (ან კი სადღა წავა)
აუძგერდა ჯავრით გული
და მექათმეც წამოადგა
ამ დროს, კეტ მოღერებული:
—მეგობარო, უთხრა მელამ
კეტ მომართულ იმ მექათმეს:
—ეგ კეტი რომ მოგიმართავს
ხომ არ ფიქრობ შენ ცუდ რამეს?
შენც ხედავ, რომ აქ დაგიხვდი,
დაგიცადე, არ წავედი.
და რომ ამ გზით გავიარე
ეგეც კიდევ შენი ბედი.
როგორ მოვხვდი უცხო მხარეს,
ამ წარა გზით, მიკვირს მეც ეს...
(თუ გიყვარდე მაგი კეტი)
ძირს დაუშვი, არ დამეცეს)
მივდიოდი ჩემთვის ჩუმათ,
ვემალოდი მინდორ ველებს...
(«რა ვქნა»,) მისთვის ამბობს განზე,
(«ეგ კეტი კი მომინელებს»)
ვნახე რაღაც აქ დადგმული,
ასაწყობი, დასაკეტი...
(კაცის გული სასწორია,
ნუ გაქვს მოღერილი კეტი.)
შიგან ხორცი დავინახე,
და მივუჯექ მას საცავად...
(კეტი დაბლა ჩამოუშვი;
არ დამეცეს თავის თავად.)
სხვას რომ არ ვის შეეჭამა,
თორემ მე ხომ არ შევჭამდი...
(მაგ კეტს რომ ხელს გაუშვებდე,
ღმერთმანი რომ კარგს იზამდი.)
და რომ ხორცი მთელად დაგხვდა,
ამას შენი თვალით ხედავ...
(ჩუმათ ამბობს: „სად ვიღუპვი,
მოდით, ნახეთ, ვაი დედავ!!!»)
სხვა რომ ვინმე ყოფილიყო
შენს ადგილზე და შენ არა,
ქურდობასაც დამწამებდა,
ეგებ სისხლიც დაეღვარა,
მაგრამ... —რაო? რამაგრამ!!!
რას ჭახრაკობ, წუწკო შენა?
სანამ გინდა არაკუნო
გამოქნილი ფლიდი ენა?.
რა რვაშია უცხო მხარე,
ხორცის ჭამა, ხორცის დაცვა,
ნდობა, ძმობა, მეგობრობა,
კუდის ქნევა და სხვა და სხვა???
საქმე ქათმებს შეეხება...
შენ ხრიკებს კი ეგ დაჭირვა.
ამით მიხვდი გამოვიდა,
შენი ლოცვა, შენი წირვა.
უთხრა ეს და მოუქნია
მოღერილი მაღლით კეტი
და თქვენს მტერსაც ნუ გაეძლოს,
ვით იმ მელას, იმის მეტი.

ქურდს რომ თხლეზე დაიჭერენ
დიდი ხნიდან გასაბაწრავს,
მას სურს თხლეზე გამართლება,
ღინოზე კი კრინტს არ დასძრავს.

ბ. ბლიკვაძე

ცხელ-ცხელი ამბები.

სამი რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული. ამაებს მე სამივეს მოკლებული ვარ...

სამი რამ ამხიარულებს კაცს: საიდუმლო ტრფიალი, მეგალეების გასტუმრება და მონობიდან თავის გამოხსნა. ესეები ჯერ მე არ მღირსებია!!.

სამი რამ სჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავ: სსუო!!! სსუო!!! და ससუससო!!!

და მაშ რაღა არის ეს ჩემი სიცოცხლე? —მიკვირს, ან აქამდე როგორ გავძელი? მაგრამ გაკერპებული იმედი ისე შემტკიცებია ამ ჩემ გლახ —გულს რომ საფლავშიც კი უპირებს ჩაყოლას; ვერც ჭაღარით მოიშორებია და ვერც ნიკრისის ქარებით გამიდენია. მაგრამ იმედი ხომ მისი წარმოდგენაა, რაც ცხადად გვაკლია?.. დიახ თავის მოტყუება! და მაშ რაღა სიცოცხლეა? „ვაის“ მოედანზე გავსულვარ და „უის“ ტახტზე ვზივარ. არა, არა!.. ისევ სიკვდილი სჯობია! უნდა დავიხრჩო თავი; მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, არკი აქაც ხელი მეშლება: მტკვარი ამღვრეულია და გამაჩირქიანებს; ზღვა მარილიანია და თვალებს დამწვავს! ვეღარ ვახერხებ თავის დახრჩობას!..

არავინ იცის სხვა საშვალება რამ, მირჩიოთ და ამ სოფელს მომაშოროთ როგორმე?..

უჰ! უჰ! ღმერთო ჩემო! რამდენი მეგობრები მყოლია და აქამდე არა მცოდნია!..

ყოველის მხრით ათასობით მეგობრულად მირჩევენ და მასწავლიან სხვა და სხვა საშვალებას: ყოველად უსასყიდლოდ მზად არიან, რომ მეგობრულად მემსახურონ ამ შემთხვევაში. აი, პატიოსანი კაცები!

მე რაღა მეთქმის? ღმერთმა გადაგიხადოთ, ჩემო მეგობრებო, სამაგიერო! ბევრი გზა მიჩვენეთ თავის მოსაკლავი; მაგრამ ვაი რომ ვერც ამაებით ვსარგებლობ: სულ სხვა და სხვა საშვალებებს მირჩევენ; ერთის თუ დავიჯერე სხვებს ხომ გული დასწყდებათ? და რომ არც-ერთს არ ვაწყენინო, ისევ ასე დავრჩები: არ მოვიკლავ თავს!

რა გაეწყობა!! სჩანს არა ვყოფილვარ ღირსი და ისევ უნდა ვიხეტიალო აქეთ-იქით დღეის იქითაც!..

მაგრამ ხელობა რა ავირჩიო მისთანა, რომ გულს გადამყაროს? მგონი ვერაფერი!.. ჰე, მგონი ისა სჯობს, რომ ვიარო ამ წუთი-სოფელში, ვათვალიერო ხალხი, და რაც შევნიშნო, დავიყვირო სახალხოთ.

პირველათ კი ჩემი თავიდან უნდა დავიწყო, დაუზოგავათ უნდა შევაჭკო და მერე თუ სხვებზედაც რამ წამომცდეს, ნურას უკაცრავად! ჰე გამოვსულვარ, და ვინც პირველი შემხვდება, იმას მიმართავ! აი, შემხვდა პირველათ ვირი... მე აქ მართლა ნამდვილ ვირზედ მოგახსენებთ, სახედარზედ, —ხუმრობით არ ჩამომართვათ! ვხედავ—მოდის ნელა-ნელა, ფილოსოფურად და მეც მსურს რამდენიმე სიტყვა მივახსენო ამ პატიოსან ქმნილებას:

სიტყვა.

ჰოი, შენ, პატიოსანო ვირო! იაფო და ხშირო! საწყლე—სანახშირო; ნეტავი შენ, რომ ბუნებას მაგრე შეუმკიხარ: ფეხები პატარა გაქვს, მაგრამ დიდფეხიანებზე კი უფრო სწორა დადიხარ! ყურები დიდი გაქვს; მაგრამ პატარა-ყურებიანებზე კი უფრო ნაკლებ უგდებ ყურს ათასგვარ ჭორებსა და მავნებელ-სიტყვაობას. ხმა მაღალი გაქვს, მაგრამ ხშირად კი მაინც არ ჰყვირი, მაშინ, როდესაც უფრო დაბალხმიანებისაგან ყურთასმენა აღარა გაქვს. დარწმუნდით, უ. ვირო, რომ თქვენსავით მაღალი ხმა ზოგიერთსა ჰქონდეს, სხვა და სხვა გვარ რჩევა-ბაასობის დროს, მეორედ მოსვლის საყვირს დასცემდენ...

და რაც შეეხება შრომას, ვხედავ, რომ მოცალებაც არა გაქვს. მე კი უსაქმურათ აქეთ-იქით დავეხეტები;

ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკო: მე შენ ვერ მოგწვდები, უნდა შენ წინ თითი მოვიკაკვო. აწ კი მშვიდობით“.

აი, შემხვდა კიდევ მეორე ცხოველი—ძაღლი!..

დალახვროს ღმერთმა; რაღა ზედი-ზედ შემეყარენ;.. აბა, ჩემო მკითხველო, ამ ძაღლსაც მიუბრუნდი და მეც სიტყვას ვეტყვი:

სიტყვა.

„პატიოსანო ძაღლო!.. ნეტავ ვინ შეგედრება ოჯახის ერთგულებაში? ოთხი ფეხი გაქვს, მაგრამ მაინც არსად მიდიხარ და არ შორდები იმ ოჯახს, სადაც შენა ხარ, მაშინ, როდესაც ორფეხები კი

ალარ იცდიან: ცოლები ქმრებს ექცევიან და ქმარები, რასაკვირველია, ცოლებს!

»შენა გაქვს ბასრი კბილები, მაგრამ მაინც ისე არ იკბინები როგორც ზოგიერთი უკბილოები!..

,,და ყველაზე უფრო მომეტებული ღირსება კი ისა გაქვს, რომ ერთგული ხარ და ბეჯითი: იმ სახლკარსა და იმ ეზოს, სადაც შენა ხარ, უველი შეუპოვრად და უძინრად უცდი! ვერ შემოგეპარება ქურდ-ავაზაკი; ვერვინ მოგატყუებს და ვერავინ მოგიპარავს! რაგინდ ძლიერი იყოს, შენ მაინც ყეფას არ მოუშლი ხოლმე!!.

,,პატივი და დიდება შენ, ჩემო ძაღლო!.. მე კი შენზედ უფრო სუ'ტი ვარ და უხასიათო: თუმცა ბევრსა ვხედავ ქურდ-ავაზაკსა, მაგრამ არა თუ კბენას, ყეფასაც ვერა ვბედავ: არა, არა; მე შენზე სუსტი ვარ და შენ წინ მოვიკაკვავ თითს, ჩემო მურავ!''

ვიცი ზოგიერთი ამხანაგები მიწყენენ, თუ რათ ვედარები ვირსა და ძაღლსა: მაგრამ იმათ რა ენაღვლებათ: მე მხოლოდ ჩემს თავზედ ვამბობ, რომ როგორც ძაღლს, ისე ვირსაც ჩამოვრჩები და ისინი კი ჩემსავით გლახები არ არიან: ისინი ვირზედაც უაღრესი არიან და ძაღლზედაც უმაღლესები... ძლიერები არიან, სუსტი მხოლოდ მე ვარ და ჩემს თავზე ვამბობ!.. ვის რა დავა აქვს.

რომ შევადაროთ ეს ორი ზემო-მოყვანილი პირუტყვი იმ...

ჰმ... კინაღამ არ გავყარყუმდი!!! ბევრს არ იამებოდა?; ტფუი! ტფუი! ტფუ!.. ეშმაკს თვალს არ უჩანს.

აკაკი.

„ახალ მათრახის“ ხელმძღვანელნი სთხოვენ ყველას, ვისაც კი ახსოვს ან ჩაწერილი აქვს აკაკის ნაკვესი და მოსწრებული სიტყვა, მოაწოდოს რედაქციას ჯერ ჟურნალში მოსათავსებლად და შემდეგ ცალკე წიგნაკათ გამოსაცემათ.



შარადა.

სახელათ ,,კოღოს'' მიხმობენ,
ბზუილაძე ვარ გვარადა.
მეც შემიძლია, ხანდისხან
ვუკბინო ვისმე მწარადა,
მაგრამ არა ვკბენ, რამეთუ
ვალად მაქვს ვწერო ,,შარადა''
ძვირფასთა ჩვენთა მკითხველთა
გასატანჯ- -გასამწარადა.

პირველი ნაკვთი, შარადის
ასაშენ ასახიდები
ერთობ უბრალო ნივთია
ჯაჭვით ხეს დასაკიდები.
მას ყრმანი მიჰყავს სკოლისკენ
და ეკლესიად დიდები...
[სჯობს ბოლო ანბანისაგან
ვიხმაროთ განაწმინდები.]

შემდეგ მოვნახოთ ადგილი
სადაც სწარმოებს ვაჭრობა;
სადაც ბევრია დუქნები,
იციან ტყავის გაძრობა.
ზე შვაზე გავჭრათ ეგ სიტყვა
[სპარსული მონააზრობა]
და ჩვენ პირველი ვიკმაროთ...
[არ ვარგა გაუმაძღრობა!]

მესამედ, სომხეთისაკენ
მსურს თქვენი გასეირნება.
[შორეა, მაგრამ რა უყო,
შარადამ ასე ინება!]
მარრი იახლე, თუ მარტოს
მგზავრობა მოგეწყინება
და ნახე ძველი ქალაქი,
ისე ნუ დაგეძინება!

საშენებელი მასალა,
მზათ არის მთელი ტანითა:
ძირს საძირკველი... კედელი...
და სახურავი ბანითა.
მივაწყოთ ერთი-მეორეს
სიგრძით და არა განითა...
თან დავუფიქრდეთ შენობას
მცირეოდენი ხანითა.

ოჰ, ჯოჯოხეთო!! რასა გავს
ამისი მოხაზულობა??!
ეს გვირაბია ფოლადის...
ამას არ ეთქმის ლულობა;!!

გრგვინავს და ღმუის საზარლად
მრისხანე გულშემზარავი
ვერ უძლებს მკერდი სალი კლდის,
არა თუ გლეხის კარავი.

მუსრავს და ანგრევს ქალაქებს,
ციხეებს დაბა-სოფლებსა,
სიკვდილსა სთესავს ხელგაშლით
ამრავლესს ქვრივს და ობლებსა

დღეს მეჯლისი აქვს საზარელს...
ქუხს დღითი... გრგვინავს ღამითა...
და თუ, ახსენით, ნუ მტანჯავთ...
მეც გავათავებ ამითა.

კოლო.

ომი და მისი ისტორია.

უმჯობესია პირდაპირ დავიწყოთ.
რა არის ომი, როგორ ასეთი?

ომი ეწოდება ისეთ სამხედრო მოქმედებას, როცა ორი ეროვნება, [შეიძლება მეტიც) ან ორი ჯგუფი ადამიანებისა ერთმანეთს ჟლეტს, არბევს და ანადგურებს. მიუხედავათ ამისა, ომი ადამიანთა უპირატესობას მაინც არ შეადგენს, ვინაიდან ომი სცოდნია: (რა თქმა უნდა მეცნიერთა გამოკვლევით) სპილოებს, მაიმუნებს, ძაღლებ, ინდაურებს, ყვინჩილებს, ფუტკრებს, ჭიანჭველებს, და სხვა და სხვ. მაგრამ კაცობრიობის სასიქადულოთ უნდა ითქვას, ადამიანებმა დიდათ გაიუმჯობესეს საომარი იარაღები, მაშინ როცა უკულტურო მაიმუნები, უგუნური ინდაურები და სხვანი დღესაც მამაპაპეული იარაღებით იბრძვიან. წარმოიდგინეთ, თვით ჭიანჭველებიც კი არ აქცევენ მილიტარიზმს იმდენ ყურადღებას, რამდენსაც თვით უჩამორჩენილესი ევროპის სახელმწიფო.

გავიგოთ ომის საგანი. ცნობილია, რომ ინდაურთა, მამლაყინწათა და სხვა მის მაგვართა ომი ყოველთვის რომანიულ ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე, მაგრამ ეს საზომი არ უდგება ადამიანთა და მაიმუნთა ომებს. აქ ომს უმეტეს ნაწილათ ეკონომიური სარჩული აქვს, ხშირათ კი დინასტიური: უფრო ღრმა მკვლევართა აზრით „ომი ხდება სისხლით სულის განსაბანათ''.

თითქმის ისე, როგორც ტანთსაცმელი, არის ომი საშინაო და საგარეო. იმას, ვინც ომის დროს განზე დგას და ბძოლაში მონაწილეობას არ იღებს, ნეიტრალიტეტი უჭირავს. ომის გამოცხადების წინ დიპლომატები მართავენ კონცერტს და აგზავნიან ნოტებს. უკანასკნელ ნოტას ულტიმატუმი ჰქვია.

ომის შემდეგ დამარცხებული და განადგურებული ერი იხდის ფულს, რომელსაც კონტრიბუციას ეძახიან.

პირველი მსოფლიო, ანუ საერთაშორისო ომი.

როგორც მოგეხსენებათ. ქ-ნმა ევამ, სამოთხეში ყოფნის დროს, აკრძალული ვაშლი მოიპარა, ნახევარი თითონ შესჭამა და ნახევარიც ადამს გადასცა. მოგეხსენებათ ისიც, რომ ეს სამწუხარო საქმე გამოიწვია ეშმაკის პროპაგანდამ. მაშინ რო დღევანდელი პირობები ყოფილიყო, თითქმის ყველა ჩვენ-განი აქ გერმანიის ჯაშუშთა ხელს დაინახავდა.

ადამისა და ევას შეცოდება მთელი კაცობრიობისათვის საბედისწერო გამოდგა. მთავარ-ანგელოზმა მიხეილმა, ცეცხლის ხმლით შეიარაღებულმა, მედგარი იერიში მიიტანა მათზე და იძულებული გახდა ცოლ-ქმარი სამოთხიდან უ ან დაეხიათ. ისინი გაიგზავნენ იქვე, ედემის *) ახლო, წინასწარ არჩეულ პოზიციებზე.

აქ მათ შეეძინათ ორი შვილი, კაინი და აბელი, რითაც კაცობრიობის რიცხვმა 100% იმატა. მიუხედავათ იმისა, რომ მიხეილ მთავარ-ანგელოზი ედემის კარებს არ გამოცილებია, ადამი და ევა მაინც რევანშზე ფიქრობდენ და სამოთხის ასაღებათ ემზადებოდენ. მალე შვილებიც წამოიზარდენ და მათი მსოფლ-მხედველობა აშკარა შეიქნა. კაინი შავ-რაზმელი გამოდგა ხოლო აბელი კადეტური მიდრეკილებისა. ის ხვეწნა მუდარითა და მსხვერპლის შეწირვით ფიქრობდა ედემის დაბრუნებას. ყოველ დღე ძღვენი მიჰქონდა და უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებდა მიხეილს, თუმცა ედემში მაინც არ უშვებდენ.

ერთ მშვენიერ დილას, როცა აბელი ჩვეულებრივ შესაწირავს ამზადებდა, იქვე ბუჩქებიდან გამო-

*) მოქეიფე თავად-აზნაურთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ეგ ის ედემი არ არის, რომელიც ვერის ბოლოზე ძევს, და სადაც ისინი თავის ქონებას ფლანგავენ.

იქრა დიდი კეტით შეიარაღებული კაინი, იერიში მიიტანა აბელზე და მოჰკლა იგი. ეს ამბავი ღლვის სისწრაფით მოედო მთელ კაცობრიობას [ვინაიდან მაშინ ომის ამბებზე ცენზურა არ არსებობდა] და გულის სიღრმემდე აღაშფოთა ის. როგოც ხედავთ აქ მოხდა ვერაგული თავდასხმა, რომელსაც წინ არ უძღოდა არც დიპლომატთა კონცერტი და არც მთავრობათა ულტიმატუმი. ამგვარათ პირველ ომშივე დაირღვა საერთაშორისო უფლება ბრძოლისა და ერთის დაკვრით განადგურდა მთელი არმია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კაინი მილიტარისტი გამოდგა და ბრძოლაში გამოიყენა ჯერ არვისგან ხმარებული იარადი—კეტი. ჩვენს დროში კეტით იბრძვიან მხოლოდ „დვორნიკები« და ჩამორჩენილი გლეხ-კაცები, ძველათ კი კეტი არც ისე დასაბრიყვებელი საგანი იყო. რუსის გლეხ-კაცობამ ამ იარაღის შესახებ მშვენიერი ეროვნული ჰანგიც შეჰქმნა— ,,დუბინუშკას'' სახელწოდებით.

(შემდეგი იქნება)

აკაკის ნაკვესები.

ერთი ჩვენებური პედაგოგი ლექსების წერაიაც ეტანებოდა. ზოგს «დროებაში» აბეჭდინებდა, მეტი წილი კი დაუბეჭდავი ჰქონდა რვეულში ჩაწერილი და თავის კარგ ნაცნობებს უკითხავდა. ერთხელ აკაკიმ ამ პედაგოგს ცხენი სთხოვა მახლობელ სოფელში წასასვლელად. ცხენი ათხოვა პედაგოგმა და თან თვისი ლექსები გაატანა—ღამე გადაათვალიერეო. ცხენი ვერ გამოდგა ბედაური. როცა აკაკი დაბრუნდა, პედაგოგმა ჰკითხა:

—როგორ იმგზავრე, აკაკი, ღამე როგორ გაატაარეო?

—რა გითხრა ძმაო: დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე შენმა ლექსებმაო?

ერთხელ, ერთ წვეულებაზე, საცა აკაკიც იყო, მასპინძელს ღვინო შემოელია და ნელნელა, სხვა უფრო მდარე ღირსების ღვინო შეაპარა: მთვრალები არიან და მაინც ვეღარ მიხვდებიანო. ქეიფი რომ თავდებოდა და ჯერი მასპინძლის სადღეგრძელოზე მიდგა, აკაკიმ აიღო—ჭიქა და სთქვა:

—ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ანტიქრისტეო!

—როგორ თუ ანტიქრისტეო!.. ვინ არის ანტიქრისტეო? გაკვირდა ყველა.

—ვინა და ჩვენი მასპინძელი: ქრისტემ ხომ წყალი ღვინოთ აქცია, ჩვენმა მასპინძელმა კი ღვინო-წყლათო განმარტა აკაკიმ.

ერთი ყმაწვილი კაცი სადილათ მეგობარ-თან იყო. მარჯვნით უჯდა აკაკი, მარცხნივ ერთი ტიტინა ყმაწვილი კაცი. ყმაწვილ კაცს უნდოდა ეთქვა, რომ მარჯვნით ბულბული უზის და მარცხნივ კაჭკაჭიო და იკითხა: რა მანძილი არის ბულბულსა და კაჭკაჭს შორისო.

—ბევრი არაფერი, უთხრა აკაკიმ. შუაში მარტო ერთი ბაიყუში უზისო.

არჩევნების დროს ზოგიერთი აბეზარა კენჭოსნები ჰყვიროდენ: „კენჭი მოგვეცით, კენჭი, კენჭმა უნდა გაგვასწოროსო.«

—ნეტავი თქვენ კი გასწორდებოდეთ, და ვინ ოხერი ან ლოდს დაიშურებსო, შენიშნა აკაკიმ.

ახალი ,,მათრახის''

ფოსტა.

1 **თბილისი. გ. რ—ძეს.** თქვენი, პესსიმიზმით აღსავსე ლექსი ასე იწყება:

„გამიფრინდა სასოება
გამიფრინდა ოცნებაცა,
გამიფრინდა გაზაფხული,
გამიფრინდა კიდევ სხვაცა...“

ლექსი, რასა კვირველია, არ დაიბეჭდება, მაგრამ რედაქცია გულწრფელად თანაგიგრძნობთ: ალბათ ძნელია, როცა ყველა ერთბაშად გაგიფრინდებათ.

2 **ქუთაისი. ,,მგოსნუკას.''** ეს ორი კუპლეტი თქვენი პოემისა თავის სილამაზით ყველა დანარჩენათ ლის:

„მიკვირს და მიკვირს,
რატომ არ გჯერათ,
ხეზენ რომ გაველ
ლექსების საწერათ.“

მოგახსენებთ მიზეზს ჩვენი ურწმუნოებისა: არ გვჯერა თქვენი ,,ხეზენ'' გასვლა იმიტომ, რომ ლექსი ქუთაისშია დაწერილი. მაგრამ ოდნავაც არ დავეჭვდებოდით, თუ რომ თქვენ ინდოეთში ბრძანებ ულიყავით.

კი.



პირველ მარტიდან

ქალაქ თბილისში

გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

ახალი მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა,

ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია და გ. მ. მახარაძე.

თანამშრომლები — ალბურიონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოლო, მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიძე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე შ., შმერლინგი, ჩიორა, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი — 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ახალ მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

ჟურნალის მახლობელ ნომრებში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის საუკეთესო ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ. *)

Контора „Гантіади".
Почтов. ящ. № 21.

(ახალი მათრახისათვის).

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყეს მოვაგონებთ, რომ უმრაკო წერილს რედაქცია არ დაიხსნის.

შეხედეთ მთასა ბუმბერაზს,
ცას მიბჯენია ლაჟვარდსა,
მაღლა მზეს ესაუბრება,
დაბლა—იასა და ვარდსა.

მის ფერდობებზე ათასი
ეკლის გზა, ვიწრო ხევია...
მიდიან, მაგრამ წვერვალთან
ჯერ არვის მიუხწევია.

რედაქტორ-გამომცემელი —ნ. დ. ყლენტისა.
Печатать разр. воен. цензурой. Типогр. Т—ва „Прогрессъ“, Лорисъ-Меликовск. № 1.